თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3509054

ნომერი: AR1534185

თარიღი : 21.08.2017

გაცემის თარიღი : 01.09.2017

გაცნობის თარიღი : 01.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ოქროყანა , ზონა "გ" , (ნაკვ.1/8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ლაღიძე პ/ნ 01008003859
- თბილისი, მთაწმინდის რ/ნ ოქროყანა ხერგიანის 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1534185 ელეტქრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.15.08.001.168 საკადასტრო ერთეულზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის(2764481, 08.08.16წ.) შემდეგ მშენებლობის ნებართვის გაცემას, რომლითაც გათვალისწინებული არ იქნება ##81.02.13.988, 81.02.13.508, 81.02.98.514, 81.02.13.467, 01.15.08.001.073, საკადასტრო ერთეულებთან მისასვლელი გზა.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 05 აპრილის #AR1393309 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე ნუკრი ლიპარტაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ოქროყანა „გ“, (ნაკვ. #1/8) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განთავსების მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება. საკითხი თანდართული უფლებრივი ზონირების რუკით განსახილველად გადაგზავნილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2016 წლის 2 აგვისტოს #229 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების თაობაზე. (2764481, 08.08.16წ. წერილი) ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი ჩრდილო დასავლეთით ითვალისწინებს მოხრეშილ გზას.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) ამ ეტაპზე სამსახურში ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი სეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
ვინაიდან #2764481 წერილი სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (www.tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1393309 განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში.
ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge